

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, მელიქიშვილის სახლში, № 43

კანტორა რედაქციის: მელიქიშვილის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე.

ხელის-მოწერა: მიიღება კანტორაში. ბარევე მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროзба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ქოველ დღე ორშაბათს გარდა

დროზბა

ცალკე ნომერი ღირს შაურათი

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადების: დიდ ასა-რებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ტიპოგრაფიით—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამაგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრაფები

ბრძოლის ველიდან

ბუხარესტი, 20 ივლისს. ბრძოლა პლევენასთან 18-ს დილის 2 საათიდან დაიწყო და მთელი დღე არ შეწყნარებულა.

ამ ბრძოლის დროს ოსმალოს მხრით 80,000-მდინ იყო; იმათ გამოიხმეს ჯარები ნიშიდან, სოფიიდან და მილდინიდან. რუსის ჯარები შესდგებოდა ლენერალ პრიდნერის კორპუსისა, თ. შახოვსკოის დივიზიისა და სკობილევის ყაზახების ბრივადისაგან. ორის მხრით დეცა ეს რუსის ჯარი მტერს. ახალი რუსის ჯარის საშუალოდით ჯერ მტერს დათმობინეს ერთი სიმაგრე პლევენისა; მაგრამ რუსის ჯარი ვერ გამაგრდა იქ, რადგან ოსმალოები უფრო ამაღლებულ ალაგიდან საშინლად უშენდნენ ყუმბარებსა პირ-და-პირ შუა ჯარში. მართმა რუსის ბატალიონმა ცოტა ხნით დაიჭირა თვითონ პლევენაც, მაგრამ იძულებული შეიქნენ ისევ დაეთმოთ ეს ციხე-ქალაქი და დიდს ზიანიტაც, რადგან ოსმალოებმა ორის მხრით დაუშინეს ამას ყუმბარები და ტყვია.

ორივეს მხრით დიდი ზარალია.

პენა, 22 ივლისს. ზახეთ „Presse“-ს მოვიდა სტეინიდან დეპეშა, რომ ჩერნოგორიელებმა აიღეს რაც უფრო მაგარი სიმაგრე იყო ნიკშიძისა. ბევრი ქალები და ყმაწვილები შეცვივნულან თითონ ციხეში, რომელიც 12 ზარბაზნით არის გამაგრებული. ნიკშიძის ყოველის მხრით ვარს არტყიან ჩერნოგორიელები.

ლონდონი, 20 ივლისს. ზახეთი „Times“ ამბობს: ჩვენ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ბერმანიამ და იტალიამ პირობა შეჰქრესო, რომ ისინი, ამ აღმოსავლეთის საქმის შესახებ, ერთად იმოქმედებენ.

ინგლისის ღწერალ დიქსონი დახედავს ამ დღეებში ბალიზოლის კუნძულს.

ორის აზრები

აზიის ბრძოლის ველიდან

„რეიტერის აგენტობაში“ დაბეჭდილია არზრუმიდან 8 ივლისს მიღებული შემდეგი დეპეშა:

„ღეს რუსის ჯარმა: 8 ცხენოსანმა პოლკმა, რომელსაც 8 ზარბაზნი ჰქონდა, შურუქ-ღარა მიატოვეს და მუხთარფაშის ჯარის საბანაკო ალაგების დასათვლიერებლად წამოვიდნენ. მუხთარფაშამ იმ წამსვე ამ ჯარის მისაგებებლად ერთი ნაწილი თავის ჯარებისა გამოგზავნა. ატყდა სროლა; მაგრამ რუსის ჯარი მალე დაბრუნდა უკან, როცა დანიხეს, რომ ამ დროსვე ქარსიდან გამოვიდა გარნიზონი, რომელსაც გზა უნდა შეეკრა რუსებისათვის.“

„ზაიმიდან თავიანთი დიდი ზარბაზნები და ზოგი სხვა სამხედრო მასალებიც რუსებმა ზოგი შურუქ-ღარაში გაგზავნეს და ზოგი კი პირ-და-პირ ალექსანდრაპოლში დააბრუნეს. მტყობათ, რომ რუსები ალექსანდრაპოლისაკენ დაბრუნდებან მალე.“

თუმცა, რასაკვირველია, დასაჯერებელი არ არის, რასაც ოსმალოები რუსის ჯარის ბარბაროსობაზედ იწერებან, მაგრამ მკითხველების შესატყობელად მაინც ხანდისხან მოგვყავს ამ გვარი ამბები. აი, სხვათა შორის, რასა სწერს, 12 ივლისს, მცირე აზიის არმიის მთავარ სარდალი მუხთარ-ფაშა ოსმალოეთის მმართველობას:

„როცა რუსები ხარუკალიდამა და ზარუქადიდან წავიდნენ, სულ აიკლეს მთელი სოფლები, გადაწვეს სახლები, გააფუჭეს ყანები სათიბეები და ერთის სიტყვით, ისეთს მდგომარეობაში დასტოვეს ეს ხალხი, რომ საცხოვრებელი ღონის-ძიება მოუხსნეს. რუსის ჯარებმა მოიტაცა და წაიყვანა ბუმბრს ხარუკალის ყაიმაქამის იუსიფ-ბეის ცოლი და შვილები. იმათ მოიტაცეს აგრეთვე ცოლ-შვილი და მცირე-წლოვანი შმა ზარუქალის ყაიმაქამისა და ისინიც დიდს წვალებით ალექსანდრაპოლში წაიყვანეს.“

ახლა ეს ამბავიც წაიკითხეთ, რომელსაც რუსული გაზეთის „პეტერბურლის უწყებების“ კორრესპონდენტი უფ. პო-


ტეხინი იწერება ლორის-მელიქოვის არმიიდან:

„მცხოვრებლები იმ ოსმალოს სოფლებისა, სადაც ჩვენ გამოვიარეთ, როცა ქარსიდან უკან დაებრუნდით შურუქ-ღარისაკენ, გვიხედობდნენ გზებზე და ცრემლით გვეყვებოდნენ, რომ ნუ დაგეტოვებთ აქ, ლმერთს მიმადლეთ, თან წაგვიყვანეთ, თორემ ჩვენც ის ბედლი მოგველის, რაც დემართათ ბელლი-ანმედის მცხოვრებლებსაო. წახვალთ თუ არა, მოვლენ ოსმალოები, ყველაფერს აგვიკლებენ და ჩვენც გვაწვალენ და დაგვბოცნო.“

იპავე გაზეთის კორრესპონდენტი იწერება, რომ როცა ზიენიდან დაებრუნდით, მუხთარ-ფაშა სულ უკან მოგვსდევდაო კვალზე; მაგრამ ახლოს მოსვლას ვერ ბედავდა, შორიდან მიდიოდა იმ გზაზე, რა გზითაც ჩვენ მივდიოდითო. ქარსთან მიახლოებისათანავე ღენ-ადიუტე: ლორის-მელიქოვმა განკარგულება მოახდინაო, რომ ამ ციხეს გარშემორტყმული ჯარი აბარგებულიყო და ზაიმისაკენ გამგზავრებულიყო. რაიღენიმე დღის შემდეგ ზაიმიდან ავიბარგენით და შურუქ-ღარაში გადავედით. მისვლისათანავე ლორის-მელიქოვმა განკარგულება მოახდინა, რომ რაც აქ სამხედრო ლაზარეთები იყო, ყველა ალექსანდრაპოლში გადიტანნო და მძიმე ავთიმყოფებიც იქვე გადაიყვანნო.

მვროპის ბრძოლის ველიდან

ღუნაის არმიის ახალ მთავარ-სარდალს მეჰმედ-ალი-ფაშას ძალიან აქებენ სამხედვარ გარეთის გაზეთები. ამბობენ, რომ ის მხნე და ენერგიული ახალგაზდა აფიფერი არისო სულ 45 წლის ასე, რომ ყველა ოსმალოს ღენერლებზე უფრო მხალგაზდა არისო. ოსმან-ფაშას, რომელმანც ორჯელ დაამარცხა რუსის ჯარი პლევენასთან, ადრე ოსმალოეთის სამხედრო მინისტრად უპირებდნენ თურმე დანიშნვას; მაგრამ ახლა, დარწმუნდნენო, რომ ის ბრძოლის ველზე მარჯვე კაცი და კარგი სტრატეგიკოსი, ამის გამო ის ღუნაის არმიაში დარჩებო.



ნემეცური გაზეთის „Presse“-ის კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ 11 ივლისს ღუნაის მარჯვენა მხარეზე 130,000 რუსის ჯარი არიო; ამას გარდა ღუნაის მარცხენა მხარეზე 40,000 კაცი არის კიდევო. მსმალთებს კი ბრძოლის ველზე ამჟამად 80,000 კაცზე მეტის გამოყენა არ შეუძლიანო, დანარჩენი ჯარი ციხეებში ჰყავთო.

იგივე კორესპონდენტი გვაცნობებს, რომ რუსის მთავრობამ 60,000 თოფი დაუბრუნა ბოლგარიაში მცხოვრებლებს და განკარგულება მოახდინაო, რომ ესენი ბრძოლის ველზედ გამოვიდნენო.

„ზარშია აგენტობას“ მოუვიდა სტამბულში, რომ 12 ივლისს 10,000 კაცს რუსის ჯარს განზრახვა ჰქონდათ, რომ რუსიურს გარს-შემორტყმოდნენ, მაგრამ ამ ქალაქის გარნიზონი გამოვიდა ციხიდან, შეება, დამარცხა და უკან გადევნა რუსიო. ამ შეტაკებაში რუსებმა 280 მკვდარი დასტოვეს ბრძოლის ველზე; ოსმალოების მხრით კი ამის ნახევარიც არ არის დახოცილიო.

მომხარბი მხარეების მდგომარეობა

ძნელი წარმოსადგენია და რუსეთის „მხედრობისათვის“ სასიკცხო იქნება, რომ ჩვენებური ანდაზა— „პირველი მოგება ეშმაკისაო“—გამართლდეს, თუმც, სამწუხაროთ, ჩვენს მხედრობას აზიის ომის ველზე, ამ უკანასკნელს დროს, ვერ მიჰყავს ისე საქმე, როგორც თავიდან დაიწყო.

ღვსა ყველასათვის შესამჩნევი შეიქნა, (სხვა არა იყოლ-რა, ქუჩებზე—„ახალი ტყლეგრამმა! ახალი ტყლეგრამმა!“ ახალ-ციხიდან გამოქცეულის ურიების პატარა ბიჭ-ბუჭების ძახილიც აღარ გვესმის), რომ ალექსანდრაპოლის სამხედროდამ, ვიდრე შარსამდინ, რუსებმა რისიც აღება შეიძლებოდა, ძნელათ თუ ადვილათ აიღეს, დაიპყრეს. შარსთან რომ მიაწიეს, შარსს თითქოს მართლად „ყარდესო“, ერთი ორიოდე ყუმბარა კი შეახალეს მას და ისევე მალე გამობრუნდნენ უკან; ზარბაზნებიც ალექსანდრაპოლისაკენ გამოისტუმრეს.

მს ამ გვარი განკარგულება იქაური სარდლისა, ამბობენ, იმას ამტკიცებსო, რომ მას უნდა მუხთარ-ფაშა თავის ჯარებით სადმე გაშლილ ადგილზე გამოიტყუოს, რომ, ერთის მძლავრის შეტაკებით მოუღოს მას ბოლო.

რუსეთის ჯარის წინანდელი ომების ამბავი გვეუბნება, რომ რუსის ერთი სალდათი თოფით გაშლილს, ტრიალს

მინდორზე ომში ისე მძლავრი, ყოჩალი და გამბედავია, როგორც მისი თანამემამულე გლეხი ამ გვარსავე მინდორზე სახნისით. ამისთანა ომში, ერთი სალდათი ორს მსმალთს სალდათს დასძლევს, ათი-ოცს, ათასი ორი-ათასს და ოც-დაათი-ათასი—სამოცი ათასს. რუსის სალდათი თავის თოფის ხიშტით ძრიელ გამბედავია, როდესაც ის იერიშით მტერზე მიდის. მაგრამ მსმალთს სალდათი, როგორც ერთი სამხედრო გარეთელი გავრთის კორესპონდენტი ამბობს, როდესაც ხიშტით მომავალს სალდათს ხედავს, თოფს ხელიდან აგდებს და გარბისო. ამ გვარი შეუსაბამო დასკვნა ამ კორესპონდენტს შემდეგის ფაქტიდამ გამოჰყავს: როდესაც არტანის ალების შემდეგ, რუსები შესულან შიგ ქალაქში, გამარჯვების გამო სიხარულით გარეტიანებულს სალდათებს დაუნახავთ, რომ აქა-იქ ყრილან საცოდავთ მპობრაეი დაჭრილი მსმალთს სალდათები. მართს ამისთანასთან მივარდება ხიშტით სალდათი და რომ უნდა სრულიად ბოლო მოუღოს მის ოხვრას, ამ დროს ქვევიდამ მსმალთს შესძახებს: „ნიაშ! ნიაშ!“ რუსს ეს ხვეწნა რთული ჰგონია და ეტყვის: „ნეტ, ტი ნე ნაშ!“ და ჩაჰკრავს ხიშტს, რომლის შემდეგაც მსმალთს, რასაკვირველია, იქვე დაჰლევს სულს. რათ იქნება ის დავიჯეროთ, რომ რუსის სალდათმა ამ გვარი მხეცობა ჩაიდინოს, მაგრამ კიდევ რომ მართლა ამგვარი რამ მამხდარიყოს, როგორც შეიძლება კაცმა აქედამ ის დასკვნა გამოიყენოს, რომ ოსმალოები მფთხალები არიან და რუსის ხიშტს რომ ხედვენ, მიბრბიანო?

საზოგადოთ ძნელი დასაჯერებელი შეიქნა, ამ „მხედრული“ კორესპონდენტების ლაპარაკი! ამ ერთი თვის წინეთ თითქმის ყველა ერთხმათ იძახოდნენ, რომ მსმალთს სალდათი ნახევარჯელ მშიერი, მწყურვალე, შიშველი, უიარალო და გაუწვრთენელი არიო! არ ვიცი კი რა მიზეზია, მაგრამ ესევე კორესპონდენტები დღეს სულ ამის წინააღმდეგს იძახიან! აღარც ამას დაუჯერებდით მათ, რომ ზოგ-ზოგ ამგვარ ამბებში ოფიციალური ცნობებიც არ გვეხმარებოდეს. მაგ. გახსოვთ ის ოფიციალური ცნობა, რომ არტანში ჩვენმა ჯარებმა ყოველ გვარი სამხედრო მასალები და სურსათი და სხვ. თითქმის ერთის წლის სამყოფი ნახაო?—მარდა ამისა ოსმალოების დატოვებულ ბანაკზე ჩვენი ჯარები ყუთებით პოულობდნენ ხოლმე თოფის სასროლებს, რომელიც ყოველ სალდათს თან ჰქონია. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა, რომ მსმალთს სალ-

დათებიც ძრიელ კარგათ, მარჯვეთ თურმე ისერიან თოფებს სტამბულში აცილებენ.

რაც შეეხება იმას, რომ ნახევარჯელ მშიერი-მწყურვალენი და შიშველ-ტიტველები არიანო, ამის წინააღმდეგში თავათ ჩვენი თვალები გვარწმუნებდა და გვარწმუნებს ეხლა, როდესაც ომის ველზე დატყვევებულებს ვხედავთ: ტანზე აცვიათ ისე, როგორც შეეფერება ყოველს მეომარ სალდათს, უბრალოთ, მსუბუქათ და სუფთად; იმათში არც უფესკო ყოფილა, არც უწალო; არც პირზე ყოფილან ისე გამხდრები და საზოგადოთ სუსტნი, რომ ვისმეს ეთქვა—ამ კაცს საზრდოს ნაკლებობა ეტყობაო.

როგორც უნდა იყოს, ერთის სიტყვით, ერთხელ ან ორჯელ დამარცხება, ჯერ არ გვათქმევინებს იმას, რომ ამ ომს რუსეთი წააგებს. სანამდისინ მსმალთს მარტო იქნება, სანამ მას აშკარად და ნამდვილად სხვა რომელიმე სახელმწიფო არ მოეხმარება, იმედი უნდა გვექონდეს, რომ ამ ომში გამარჯვებული რუსეთი დარჩება.

და ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ კი მხედველობაში მსმალთს ეხლანდელ მდგომარეობას მივიღებთ. მსმალთს, რუსეთს გარდა, დღეს მისი ქვეშევრდომნი, მისი მოხარჯე სათავადოები ეომება ჩერნოგორიას და რუმინიას რუსეთის მხარე უჭირავთ, და შესამჩნევ ზარალს აძლევენ მსმალთს ჯარებს აქა-იქ შეტაკებით და გზის მოსპობით. დღეს თუ ხვალ ამათს კვალს სერბიის სათავადოც მიჰყვება. რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამ სათავადოების წინააღმდეგ საომრად მსმალთს ის ჯარები უნდა გაენაწილებია, რომელიც მას მარტოთ-მარტო რუსეთის წინააღმდეგ შეეძლო გამოეყენა. რუსეთი კი არ არის ჩავარდნილი ამ გვარს მდგომარეობაში; მას შინაგანი, თავისიანი ვინმე არ აწუხებს, არ უტყდნს ჯარებს. ბუშინწინდელს „დიდოელების არეულობას“ დღეს თითქმის სულ ბოლო მოუღო რამდენიმე ასმა სალდათმა და ორმა ზარბაზანმა. მთხმოცამდინ მიაჭყლიტეს, ორას ოჯახამდინ გარდასახლეს იქითკენ, საიდანაც ისინი მის დღეში ველარ დაბრუნდებიან და „დიდოელების კამპანიაც“ გათავდა. რუსეთს არც პარლამენტი აწუხებს და არც მინისტრების კრიზისი...

მსმალთს პარლამენტს კი შინაგანი საქმეებიც დახლართული აქვს დღეს; მმართველობა ორ ცეცხლ შუა არის, არ იცის—რომელს ერთს მიხედოს, შინაგან საქმეებს, თუ გარეშე მეომარს მტერს. სამინისტროდამ უვარგისი წევრები დაითხოვა: სავჭეტ-ფაშა თავის საქმეებში

უბეჯითობისათვის გამოსცვალა; რედფ-
ფაშა სამხედრო მინისტრი, დაითხოვა
სულთანთან უზრდელობისათვის; იუსტი-
ციის მინისტრის ჰასან-ფაშას ადგილიც
ჯერ დაუჭერელია, რადგან ის აღრიანო-
პოლში გაგზავნეს ლენერალ-ლუბერნა-
ტორათ; შინაგანი საქმეების სამინისტ-
როც უქმდება, რადგან ამ უწყებას უმ-
თავრესი ვსზირის გამგებლობასთან აერ-
თებენ. შევლათ ამას დაუმატეთ სატახ-
ტო ქალაქის—სტამბოლის მცხოვრებ-
ლების მართებლობაზე უკმაყოფილება,
რომელიც, დღეს თუ ხვალ, შეიძლება
არეულობათ გარდიცეს.

აბა, ამიტანა მდგომარეობაში, განა
შესაძლებელია ოსმალთს გაიმარჯვოს
იმისთანა მძლავრს მტერზე, როგორც
რუსეთია?

საქართველო

დღიური

ჩვენ გვაცნობებენ, რომ თფილისის
სასულიერო სემინარიაში წელს 19 ყმა-
წვილს შეუსრულებია კურსი; ამათში 2
რუსია, 1 ბერძენი, 1 აისორი, 1 სვანი
და დანარჩენი 14 ქართველი (9 იმერე-
ლი და ხუთი ქართლ-კახელი). ამ თოთხ-
მეტ ქართველში ორი უმაღლესი სა-
სულიერო სწავლის მისაღებად მოსკოვის
სასულიერო აკადემიაში მიდის.

* * * თფილისის საბებო ინსტიტუტის
გამგეობა გეთხოვს გამოაცხადოთ, რომ
მშობიარე ქალები ამ ინსტიტუტთან
გამართულს საავთმყოფოში ყოველ დღე
მიიღებიან ღლისითაც და ლამეც; ღარი-
ბებს უფასოდ მიიღებენ და ვისაც შეუძლია,
დღეში ათი შაური უნდა აძლიოს. მინც
ცალკე ოთახში დაწვენას მოითხოვს,
იმას თვეში 30-დამ 50-მდინ გადახდება.
ჭალის ავთმყოფობის აქიმობისათვის
საზოგადო ოთახში უნდა გადაიხადონ
18 მანეთი თვეში და ცალკე ოთახში
30 მან. ამას გარდა აქვე მიიღებიან
ჩრევის მისაცემად ავთმყოფები—ქალები
და ყმაწვილები—ყოველ დღე ღლის
9½ საათიდან ვიდრე 11-მდინ.

* * * თფილისის შოჩტის მამგეობა
აცხადებს, რომ თფილისიდან მანგლი-
სამდინ ფოჩტა გაიხსნა; წიგნები თფი-
ლისიდან სამშაბათსა და შაბათს წავაო
და მანგლიდან კი ხუთშაბათობითა და
კვირაობით.

* * * იმერეთიდან გვაცნობენ, რომ
ამ უკანასკნელ დროს აქეთკენ ისეთი
ჩინებული ტაროსები დაიჭირა, ისე თა-
ვის დროზე მოდის მუდამ წვიმაო, რომ

თუ კიდევ ასე გასტანა ამ ერთ-ორ კვი-
რას, წელს ძალიან უხვად მოგვივა ყო-
ველგვარი ხორაგეულიო. არც „ნაცა-
რი“ ატყვია წელს იმდენი ვაზს, რამდენ-
იც ადრე იყოო.

* * * ჩვენ გვაცნობებენ, რომ ზედ თფი-
ლისის ცხვირის წინ, სოფ. ოქროყანის
არე-მარეში, ვილაც ორი თუ სამი ავაზა-
კი გაჩენილა, რომელნიც გამვლელ-გა-
მომვლელს მოსვენებას არ აძლევენ თურ-
მე; მართა ამ ერთი კვირის განმავლო-
ბაში ამათ, გაცარცვის დროს, სამი კაცი
დაუჭრიათ და ერთი ამ დაჭრილთაგანი,
როგორც გვითხრეს, კიდევ მომკვდარა.

რადგან მუდამ წელიწადს, განსაკუთრე-
ბით ზაფხულობით, ამ ალაგებში თითო-
ოროლა ავაზაკი ბიჭები ჩნდებიან და ასე
აწუხებენ ხალხს, ურიგო არ იქნება, რომ
უფხდის ადმინისტრაციამ ამას ყურად-
ღებას მიაქციოს. მაგრამ ჩვენ ამ გვარს
შემთხვევებში, საუბედუროთ, მხოლოთ
მაშინ ვიცით გაფრთხილება და თადარი-
გის დაჭერა, როცა ავაზაკები ერთს რო-
მელსამე დიდ-კაცს ანუ რამდონსამე უ-
ბრალო მომაკვდავს იმსხვერპლადენ...

* * * მასაკვირველად გახშირდა ამ უკა-
ნასკნელ დროს ჩვენს ქალაქში მათხოვ-
რობა; ისე ნაბიჯს ვერ გადაადგამ, რომ
ერთისა და მეორე მხრიდამაც მოწყალე-
ბისათვის გამოშვერილი ხელი არ დაი-
წახოთ. მომეტებული ნაწილი ამ მათ-
ხოვრებისა აისორები არიან და სოფლის
ხალხი; აგრეთვე ბევრი დედაკაცები—
ზოგი ამბობს, სალოცაფზე მივდივარო,
ზოგნი თავის მიცვალებულებისათვის
თხოულობენ და სხვ. და სხვ.

ამ მათხოვარი ხალხის გამრავლებას
ჭალაქმა როცა იქნება ყურადღება უნდა
მიაქციოს და ერთი რამ საშუალება უნ-
და მოიხსნოს იმათთვის.

როგორც თვითონ ძლუშინი, ისე იმის
ცირკულიარი, ამ საგნის შესახებ, რასა-
კვირველია, უტბათ დაივიწყეს ჩვენში....

* * * სოფ. შაშლოვნიდან და იმის ახლო-
მასლო სოფლებიდანაც გვაცნობენ,
რომ აქეთკენ საშინელი ქურდობა არის
გამართულიო, ისე თითქმის დამე არ გაი-
ვლისო, რომ ქურდები და ავაზაკები
ხან ერთს მოსახლეს არ დაეცნენ და ხან
მეორეს, და ერთი რამ საქონელი ან ნივ-
თეულება არ მოიტაცაო.

უცხო ქვეყნები

ინგლისი

ამას წინათ „დროებაში“ იყო ნათ-
ქვამი, რომ ინგლისის პარლამენტის ზო-
გიერთმა წევრებმა მინისტრებს პასუხი

მოსთხოვეს იმის შესახებ—თუ რა გან-
ზრახვა აქვს ინგლისის მმართველობას,
ასე გაცხარებით რომ დახმარებას
ამ კითხვაზედ მინისტრებს მიუციათ პა-
სუხი პალატის 11-ს (23) იგლისის სხლო-
მაზე, მაგრამ ამ პასუხს დეპუტატები
ვერ დაუკმაყოფილებია. — ოლდენშო-
ტიდამ, მუღვიჩილამ და სხვა და სხვა
ადგილებიდან მოსული ამბები ამტკი-
ცებენ, რომ ინგლისის მმართვე-
ლობას გაცხარებული მზადება აქვს საო-
მრათ.—სხვა და სხვა ბანაკათ მდგარ ჯა-
რებს ამას წინეთ ბრძანება მოსვლიათ,
რომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ქა-
ლაქებში, მაგრამ ახალ განკარგულებამ-
დინ ისევ თავიანთ ბანაკებში დაუტოვები-
ათ.—ბერტოგი ძემბრიჯისა 12-ს იგლისს
ჯარების დათვლიერებას აპირებდა ქ-
მუღვიჩშიო. ამბობენ, რომ როგორც
ეს ჯარები, ისე ბევრი სხვაც, ხომალდე-
ბით გამოგზავნილი იქნებიან მეროპის-
ომის ველისაკენაო.

— ინგლისური გაზ. „Daily News“
ის მენელი კორრესპონდენტი იწერება;
„მე შევიტყე, რომ თავ. ზორჩაკოვი
ჰკრეფს სხვა და სხვა ცნობებს იმის და
სამტკიცებელათ, რომ ამ ომში ინგლი-
სი ვერ ინახავს ალთქმულის მტკიცე ნე ი-
ტრალიტეტს. თავ. ბარჩაკოვს ესლ აც
სამყოფათ შეუკრებია ამისთანა ცნო ბე-
ბიო, რომლის გამოაშკარავება ცირ კუ-
ლიარით უხდოდა უმთავრესს სახელ მწი-
ფოვებთანაო, მაგრამ უფრო უკე კთესს
დრომდინ ინახავსო, რომ ლორდ ღერ-
ბის წარუდგინოს და ანგარიში მოსთხო-
ვოსო.

ავსტრო-ჰუნგარია

მენიდან იწერებიან ერთს ნემეკურს
გავთში, რომ აესტრიის მართებლობას
სრულებით უარი უთქვამს ოსმალთს
რომელიმე ტერიტორიის ჯარებით მო-
კავებაზე. ამის მაგიერ მართებლობა ეპი-
რება ჯარების დამზადებას, რომლითაც
მას შეეძლება მორაგების დროს თავის
საკუთარი ინტერესები დაიცვასო.

— ამას წინათ პეშტში ყოფილა ხალხის
კრება(მიტინგი), რომელზედაც 9,000 კაცი
დასწრებია. ამ კრებას, რომელშიაც სხვა-
თა შორის, მადიარების მოწინავე თავო-
ბასაც მიუღია მონაწილეობა, მხოლოდ
ოსმალთს თანამგრძობლები დასწრე-
ბიან. მართომ აღვლევებული კრება ყო-
ფილა. ძლავკას ერთობ სასტიკად ულაპა-
კნია რუსეთზე; ბევრი იქ მოლაპარაკენი
თხოულობდნენ, რომ აესტრიადა ინგლისი
შეერთებულიყვნენ რუსეთის წინააღმდეგ.
მაგრამ ამაზე მათთვის უპასუხნიათ, რომ
ინგლისი ამ ომში „ურუელ-ვაჭრულს“
პოლიტიკას ადგიაო. მართს იქ დამსწრეს,

